განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
მასწავლებლის მომზადების პროგრამა

სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების თარიღ(ებ)ი

12 – 13 აპრილი 2018 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

12 ივნისი 2018 წელი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212907513
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა "მუსიკა"
განათლების საფეხური	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	[1]
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 კრედიტი (ECTS)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ერეკლე ჩიგოგიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა იოსავა, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] სერტიფიკატი: მასწავლებლის მომზადება/განათლება (მუსიკის მასწავლებლობის უფლება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  - კოლეჯი წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ს;
  - კოლეჯში დღეის მონაცემებით სწავლობს მთლიანობაში 28 სტუდენტი;
  - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის“ მიზანია <u>სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების სახელოვნებო / სამუსიკო სკოლის მასწავლებლის და საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლის მომზადება;</u>
  - პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევითი სალექციო კურსებს, ასევე ორ 10-10 კრედიტიან პრაქტიკის კომპონენტს;
  - პროგრამა შემუშავებულია სსიპ-ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების მიერ;
  - პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და გათვლილია ორ სემესტრზე;
  - სწავლების ენაა ქართული

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 23.03.2018 წლის №213 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ერეკლე ჩიგოგიძე (თავმჯდომარე), ლელა იოსავა და ანჟელა აბულაძე. ჯგუფს დაევალა სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა შედგა მიმდინარე წლის 12 აპრილს, ვიზიტის დაწყებამდე. აღნიშნული შეხვედრის დროს ჯგუფის წევრებმა შეაჯერეს პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული შინაარსობრივი და ტექნიკური საკითხები.
უშუალოდ ვიზიტი მოიცავდა ორ დღეს: 12 აპრილს შედგა შეხვედრები სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ხელმძღვანელობასთან და საშემსრულებლო ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ამავე დღეს მოხდა კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აუდიტორიების, საშემსრულებლო აუდიტორიების და ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტის მე-2 დღეს, 13 აპრილს, ჯგუფის წევრები შეხვდნენ დამსაქმებლებს, კოლეჯის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ასევე შედგა განმეორებითი შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან. ვიზიტის დასასრულს, კოლეჯის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება კოლეჯის მისიას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარეც არსებობს პროგრამის განხორციელების საჭიროება. თუმცა პროგრამის ფორმალური და შინაარსობრივი

თავისებურებებიდან, ისევე, როგორც რიგი სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, არც მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელის (ცენტრის დირექტორის ბრძანება - 11.02.2016, №69) მიხედვით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულო სახით გათვალიწინებული სწავლის შედეგების და არც უშუალოდ პროგრამაში გაწერილი მიზნების და შედეგების მიღწევა არ არის შესაძლებელი;

1.2. პროგრამის ცალკეული კომპონენტები მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფენ გაწერილი მიზნების და შედეგების მიღწევას;

1.3. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას;

1.4. პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები, მათი სრულად მიღწევის შემთხვევაშიც, შესაძლოა მხოლოდ სამუსიკო სკოლების სფეროში უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილი მიზნები, რიგ შემთხვევებში არ არის თანხვედრაში მასწავლებლის რეგულირებადი სპეციალობისთვის დადგენილ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ვერც საგანმანათლებო და ვერც დასაქმების ბაზარზე;

1.5. პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის მექანიზმები ნაწილობრივ შემუშავებულია და ასევე ნაწილობრივ ხორციელდება;

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გაუმჭვირვალეა და ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

2.2. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

2.3. პროგრამაში შემავალი კომპონენტების და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია;

2.4. ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტთა შეფასების მეთოდები ვერ უზრუნველყოფენ ამავე კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

2.5. სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები მხოლოდ მცირე დოზით უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და გამოსწორების გზების შესახებ;

3.1. წარმოდგენილი პროგრამა ახალია, თუმცა მოქმედი პროგრამების ფარგლებში სტუდენტები ღებულობენ საკუთარი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციას და დახმარებას;

3.2. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის პროცედურები დარეგულირებულია კოლეჯის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე და რეალურად ხორციელდება;

3.3. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებს კოლეჯის პროფილის შესაბამისი პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტების და კურიკულუმისგან დამოუკიდებელი აქტივობების განხორციელებაში, ისევე, როგორც საშემსრულებლო პროექტებში ჩართულობაში.

3.4. სწავლების, სტუდენტთა დასაქმების და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის დონე არ შეესაბამება სტანდარტს;

4.1. დაწესებულების ინფრასტრუქტურის და ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა;

4.2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადა ამოწურულია, დაგეგმილ დროს არჩევნები არ ჩატარებულა და აღნიშნული პიროვნებები კოლეჯთან თანამშრომლობენ როგორც „აკადემიური პერსონალის მოვალეობის შემსრულებლები";

4.3. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლის კომპეტენციები მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ სტანდარტს;

4.4. სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სასწავლო მასალა ნაწილობრივ დაფუძნებულია მიმართულების უახლეს მიღწევებზე; თუმცა კოლეჯს არ გააჩნია წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსთან და სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული გარკვეული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ იძებნება;

4.5. არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა;

5.1. კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;

5.2. შიდა და გარე შეფასების მექანიზმები შემუშავებულია, მათი გამოყენების მიზანს სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება წარმოადგენს.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის შედეგები თანხვედრაში იქნას მოყვანილი მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
  - პროგრამის მიზნები და შედეგები, პირველ რიგში, ორიენტირებული იქნას ზოგადსაგანმანათლებლო და არა სამუსიკო სკოლების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე;
  - მოხდეს თითოეული სალექციო კურსის მიზნების, შედეგების და სწავლების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;
  - თითოეული სალექციო კურსისთვის თემატიკის განსაზღვრა მოხდეს უშუალოდ სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე;
  - თავიდან იქნას აცილებული დუბლირება;
  - დოკუმენტებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. ცალკეული ნორმატიული დოკუმენტების ჩანაწერები ერთმანეთთან თავსებადობაში იქნას მოყვანილი;
  - სასწავლო პრაქტიკის შეთხვევაში ორიენტაცია მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე;
  - მოხდეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოების ჩანაცვლება, ან შესაბამისი ქართულენოვანი რიდერების მომზადება;
  - სწავლის შედეგების და ამ შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების დაგეგმვისას მოხდეს მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელის გათვალისწინება;
  - მოხდეს მასწავლებლის პროფესიისა და ზოგადი განათლების სფეროსთვის რელევანტური ნორმატიული დოკუმენტების პროგრამაში ინტეგრირება, თუნდაც თემატურ დონეზე;
  - მოხდეს მეთოდურ-დიდაქტიკური შემადგენლის გაძლიერება;
  - გამომდინარე იქიდან, რომ სამუსიკო / სახელოვნებო სასწავლებლებზე არ ვრცელდება განათლების კანონმდებლობა, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მთავარ მიზანს სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

მასწავლებლების მომზადება წარმოადგენს, პროგრამის მთავარ ორიენტირად განისაზღვროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადება;

- პროგრამის შემუშავების / დახვეწის პროცესზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფში ჩართული იქნას კოლეჯის ერთი სტუდენტი და ერთი კურსდამთავრებული მაინც;
- დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას მოხდეს, მათ შორის, დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება.
- სწავლების მეთოდების შერჩევა მოხდეს უშუალოდ სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად;
- მოხდეს მთლიანად შეფასების სისტემის გადახედვა, შეფასების ცალკეული კომპონენტების და მეთოდების დივერსიფიცირება;
- „60 + 40“ ქულიანი შეფასების სისტემა შეიცვალოს მრავალჯერადი, მრავალკომპონენტიანი შეფასებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს განმავითარებელ / მიმდინარე შეფასებებზე - საგამოცდო ფორმატის გარდა გამოყენებულ იქნას შეფასების სხვა ფორმებიც;
- შეფასების მეთოდების და კომპონენტების განსაზღვრა მოხდეს არა უნიფიცირებულად, არამედ ცალკეული სალექციო კურსების მიზნების და შედეგების შესაბამისად;
- მოხდეს შეფასების კრიტერიუმების შემუშავება უშუალოდ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
- სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები განისაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტების შესაბამისად;
- მოძიებულ იქნას ინფორმაცია შესაბამისი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფონდების შესახებ, რომელთა ხელშეწყობითაც ადგილობრივ უსდ-ებს საშუალება ეძლევათ, ყოველგვარი ფინანსური დანახარჯების გარეშე ითანამშრომლონ დასავლეთის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- განხორციელდეს ანალოგიური სამუშაო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- დამყარდეს უშუალო კონტაქტები კოლეჯის მსგავსი პროფილის მქონე ევროპულ სასწავლებლებთან და მოხდეს თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებების იდენტიფიკაცია;
- უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება
- ჩატარდეს კონკურსი კოლეჯში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მოწვეულ სპეციალისტებთან / საათობრივი ანაზღაურებით მოწვეულ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები პროგრამის განხორციელების დაწყება-დასრულების ვადების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილ იქნას განათლების სისტემაში მოქმედი აქტუალური სტანდარტების, მიდგომების, მოთხოვნების უფრო სიღრმისეული დეტალური გაცნობა; ასევე, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, გაღრმავდეს თანამშრომლობის საქართველოს სხვადასხვა უსდ-ებთან, მათ შორის ისეთებთან, რომელთა პროფილიც განსხვავდება კოლეჯის პროფილისგან.

- ამაღლდეს კოორდინაციის დონე კოლეჯის ადმინისტრაციის ყველა რგოლს შორის, მოხდეს ფუნქციების ცალსახა და გამჭვირვალე გამიჯვნა.
- უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის ბიბლიოთეკაში იმ სასწავლო ლიტერატურის არსებობა, რომელიც სილაბუსებში სავალდებულოდაა განსაზღვრული;
- უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსთან წვდომა.
- უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი ფინანსური ფონდების მოზიდვა, მათ შორის ალტერნატიული წყაროების მოძიება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა სილაბუსების გარდა ასევე აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც;
- დაინერგოს (თუნდაც საბაზისო შემადგენლის დონეზე) რომელიმე აპრობირებული ელექტრონული სასწავლო სისტემა (მაგალითად "Moodle") ამ ტიპის რესურსის საბაზისო ვერსიების გამოყენება, როგორც წესი, ფინანსურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული;
- მოხდეს „ერაზმუს პლუსის" ფარგლებში შემოთავაზებული შესაძლებლობების გაცნობა და ამ კონტექსტში არსებული რესურსის გამოყენების ყველა მიმართულების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ქ. ქუთაისისსამუსიკო კოლეჯის მისიაა: „[...] სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ზნეობრივად სრულყოფილი მუსიკოს-შემსრულებლისა და პედაგოგიური კადრების მომზადება. [...] ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა, მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, შემსრულებლისა და პედაგოგისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება და მათთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი სამუსიკო განათლების შეთავაზება“. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია „სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების სახელოვნებო / სამუსიკო სკოლის მასწავლებლის და საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლის მომზადება. [...] სტუდენტის მიერ შერჩეული სპეციალობით მომავალი პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება“. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, თუმცა დასაქმების ბაზარზე ორიენტაციის თვალსაზრისით, პროგრამა, პირველ რიგში, კონცენტრირებულია სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კადრების და, შედარებით ნაკლებად, საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლების მომზადებაზე. ამასთან, ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებზე რეგიონის მასშტაბით არსებობს: როგორც სახელოვნებო/სამუსიკო, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. აღნიშნულს ადასტურებენ დამსაქმებლები (რომელთა შორისაც იყვნენ 5 სამუსიკო და 1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარმომადგენლები), კოლეჯის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ამ უკანასკნელთა მხრიდან აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სამუსიკო განათლების მქონე პიროვნება ყოველთვის ვერ ახერხებს სასცენო კარიერის აწყობას და სასურველია, რომ აღჭურვილი იყოს პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. თუმცა პროგრამის ფორმალური და შინაარსობრივი თავისებურებებიდან ისევე, როგორც რიგი ქვემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე (იხ. კომპონენტები: 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 2.1, 2.2, 2.4, 2.5,, 3.3, 3.4, 4.1, 4.2, 4.3, 4.4), არც დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულო სახით გათვალიწინებული შედეგების, და არც უშუალოდ პროგრამაში გაწერილი მიზნების და შედეგების მიღწევა არ არის შესაძლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში; - კოლეჯის წესდება - საგანმანათლებლო პროგრამა; - ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; - ინტერვიუები დამსაქმებლებთან;

- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგები მაქსიმალურ თანხვედრაში იქნას მოყვანილი დარგობრივი მახასიათებელით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- პროგრამის მიზნები და შედეგებიორიენტირებული იქნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე;
- დოკუმენტებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. ცალკეული ნორმატიული დოკუმენტების ჩანაწერები ერთმანეთთან თავსებადობაში იქნას მოყვანილი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამული კომპონენტების სტრუქტურის, შინაარსის და თემატიკის თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური მიმართულება, რომელიც პროგრამის რიგი კომპონენტების ფარგლებში დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას შეუძლებელს ხდის:

1. დუბლირება:
   ა) სრულად იდენტურია მიზნები და შედეგები შემდეგი სასწავლო კურსების შემთხვევაში: „მუსიკალური აღზრდის სწავლების მეთოდიკა“, „სამუსიკო პედაგოგიკა“ და „მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა“. ხსენებული

კურსების ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა დიდწილად იდენტურია; ბ) კურსის შინაარსში განსხვავებული თანამიმდევრობითაა გადანაწილებული, თუმცა იდენტურია თემები სალექციო კურსებში „სამუსიკო პედაგოგიკა“ და „მუსიკალური აღზრდის სწავლების მეთოდიკა“. 2. იდენტურია დარგობრივი მეთოდიკის ბლოკში გაერთიანებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, რაც, თავის თავად, ვერ ჩაითვლება ხარვეზად - გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სალექციო კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. თუმცა ხუთივე სალექციო კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემატიკა ან მხოლოდ ნაწილობრივ, ან საერთოდ არ იძლევა განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; 3. „მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკის“ სალექციო კურსის თემატიკა არ შეესაბამება კურსის დასახელებას; 4. სასწავლო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია ორი კომპონენტი: ერთი სამუსიკო და მეორე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. შესაბამის სილაბუსებში განსხვავდება სწავლის შედეგები, ხოლო სასწავლო კურსის მიზანი, ფორმატი, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმებში გაწერილი აქტივობები კი დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს. ყველაფერთან ერთად, ამგვარი მიდგომა ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლებში მიმდინარე სასწავლო/საგანმანათლებლო პროცესის განსხვავებული მოთხოვნებიდან ხასიათიდან გამომდინარე ვერ იქნება ეფექტიანი; 5. გარდა ამისა, „სასწავლო პრაქტიკა 2“ ითვალისწინებს საჯარო სკოლაში მუსიკის გაკვეთილის მომზადებას და ჩატარებას საშუალო საფეხურზე. ესგ-ს მიხედვით კი მუსიკის გაკვეთილები ტარდება მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურებზე; 6. რამდენიმე სასწავლო კურსის (დარგობრივი ბლოკი) სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, მაშინ, როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას რუსული ენა არ წარმოადგენს. უშუალოდ პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული გარემოება არ ქმნის პრობლემებს, რადგან საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი თემების ქართულენოვანი თარგმანის მიწოდება, თუმცა სისტემატიზირებულ რიდერებში ამგვარი თარგმანები თავმოყრილი არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო კურსების სილაბუსები - ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან
რეკომენდაციები: - მოხდეს თითოეული სალექციო კურსის მიზნების, შინაარსის, შედეგების და სწავლების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;

- თითოეული სალექციო კურსისთვის თემატიკის განსაზღვრა მოხდეს უშუალოდ სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე;
- თავიდან იქნას აცილებული დუბლირება;
- სასწავლო პრაქტიკის შეთხვევაში ორიენტაცია მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე;
- მოხდეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოების ჩანაცვლება, ან შესაბამისი ქართულენოვანი რიდერების მომზადება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს პრაქტიკის სამუსიკო სკოლაში გავლის საჭიროება და განხილულ იქნას აღნიშნული კომპონენტის თეორიული სასწავლო კურსით ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- მთელ რიგ სალექციო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს სახელმძღვანელოების და წყაროების საკმაოდ დიდ ჩამონათვალს (მაგ. „მუსიკალური აღზრდის სწავლების მეთოდიკაში“ – 14 სახელმძღვანელო), რომელთაგანაც, თემების განაწილებით თუ ვიმსჯელებთ, სასწავლო პროცესში გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე. სასურველია მოხდეს სილაბუსების ამ ნაწილის გადამოწმება;
- სილაბუსების მიხედვით, თითქმის არცერთი სალექციო კურსიარ უვითარებდეს სტუდენტს კომუნიკაციის უნარს, სასურველია მოხდეს სილაბუსების ამ მიმართულების გადახედვა და კურსების მიზნებთან და შინაარსთან თავსებადობაში მოყვანა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულო სახით განსაზღვრული შედეგების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობა, ისევე, როგორც წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილი მიზნების და შედეგების მიღწევა შეუძლებელია შემდეგი გარემოებების მიხედვით:

- სასწავლო პროგრამის ფარგლებში საერთოდ არ არის განხილული ისეთი საკითხები როგორებიცაა ინკლუზიური განათლება, სსსმ-პირთათვის სასწავლო გარემოს შექმნა და პროცესების მართვა, საკუთარი კვლევა/ანალიზი/შეფასება და სწავლა/სწავლების გაუმჯობესების სტრატეგიების დაგეგმვა, პროფესიული სიტუაციების ანალიზი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების გამოყენების შესაძლებლობები.
- არასაკმარისი დოზით ან საერთოდ არ ხდება ისეთი ნორმატიული დოკუმენტების თემატიზაცია, როგორებიცაა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, ეროვნული სასწავლო გეგმა (მიმდინარე და 2018-2024 წლების), მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- არასაკმარისი დრო ეთმობა მეთოდიკა-დიდაქტიკის, მაგალითად, ისეთ საკითხებს, როგორიცაა მეცადინეობის დაგეგმვა, სწავლების ფორმები და ტექნიკები, შეფასების ფორმები და მეთოდები, სოციალური ფორმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების და ამ შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების დაგეგმვისას მოხდეს დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნების გათვალისწინება;
- მოხდეს მასწავლებლის პროფესიისა და ზოგადი განათლების სფეროსთვის რელევანტური ნორმატიული დოკუმენტების პროგრამაში ინტეგრირება, თუნდაც თემატურ დონეზე;
- მოხდეს მეთოდურ-დიდაქტიკური შემადგენლის გაძლიერება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფარგლებში დომინირებს დარგობრივი (სამუსიკო) შემადგენელი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარმოდგენილი პროგრამის წარმატებულად დასრულების შედეგად კურსდამთავრებული იქნება კონკურენტუნარიანი სამუსიკო / სახელოვნებო სასწავლებლებში დასაქმების თვალსაზრისით. აღნიშნული გამოიკვეთა როგორც დამსაქმებლებთან, ისე კურსდამთავრებულებთან საუბრისას.
თუმცა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების მომზადება წარმოადგენს, ხოლო სამუსიკო სკოლებზე არ ვრცელდება განათლების სისტემაში მოქმედი კანონმდებლობა. ამ მხრივ კი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და განათლების შემდგომ საფეხურთან მიმართებაში, პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები, ისევე, როგორც ამ შედეგების მიღწევის გზები ვერ უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- გამომდინარე იქიდან, რომ სამუსიკო / სახელოვნებო სასწავლებლებზე არ ვრცელდება განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მთავარ მიზანს სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების მომზადება წარმოადგენს, პროგრამის მიზნად განისაზღვროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელის გარდა, ჩართული იყო კოლეჯის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი. ჩატარებულია პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, თუმცა მათ შორის მხოლოდ ერთი საჯარო სკოლაა. კოლეჯის ადმინისტრაციამ წარმოადგინა შესაბამისი გამოკითხვის ანკეტები. დამსაქმებლები ინფორმირებული იყვნენ პროგრამის არსებობის შესახებ და კონსულტაციების ფორმით ჩართული იყვნენ მისი შემუშავების პროცესში. პროგრამის შესახებ ინფორმირებული არიან სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც. სტუდენტებისთვის ჩატარდა შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრა, სადაც სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირდა ინტერესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლასთან დაკავშირებით. თუმცა პროგრამის შემუშავებაში არც სტუდენტებს და არც კურსდამთავრებულებს უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: - პროგრამის შემუშავების/დახვეწის პროცესზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფში ჩართული იქნას კოლეჯის ერთი სტუდენტი და ერთი კურსდამთავრებული მაინც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც

ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობის ველში ვკითხულობთ: „პროგრამაზე დაიშვებიან უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ ბაკალავრის/ მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი და პირები, რომელთაც აქვთ პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებიც ჩააბარებენ კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (ტესტირება/გამოცდა)“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა ჩართვას. გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც: „მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/ საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით“
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა
რეკომენდაციები: - დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას მოხდეს, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნების გათვალისწინება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პრაქტიკის ბლოკის ორი კომპონენტის გარდა, უკლებლივ ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში სწავლა/სწავლების მეთოდების ველში ფიქსირება შემდეგი ჩანაწერი: „ვერბალური მეთოდი, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი-სიტუაციური ამოცანა, თანამშრომლობითი სწავლება, სტრატეგიები: ეილერ-ვენის დიაგრამა, აზრობრივი რუქა;“ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში წარმოდგენილ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და დარგობრივ ბლოკებში გაერთიანებული სასწავლო კურსების სპეციფიკა განსხვავებულია, შეუძლებელი იქნება იდენტური მეთოდური მიდგომების პირობებში ცალკეული სალექციო კურსების, ისევე, როგორც მთლიანად პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სრულფასოვანი მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა; - სილაბუსები.
რეკომენდაციები: - სწავლების მეთოდების შერჩევა მოხდეს უშუალოდ სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სტრუქტურის ფარგლებში პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სილაბუსები; - საგანმანათლებლო პროგრამა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა სილაბუსების მიღმა ასევე აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასების მეთოდებთან და კომპონენტებთან დაკავშირებით გამოკვეთა შემდეგი მდგომარეობა: - პრაქტიკის ბლოკის გარდა ყველა სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კომპონენტები იდენტურია, რაც სასწავლო კურსების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ვერც მიმდინარე დინამიკის და ვერც მიღწეული საბოლოო შედეგის ჯეროვან და ობიექტურ შეფასებას; - სალექციო კურსების სილაბუსების მიხედვით, „სტუდენტის საბოლოო შეფასებების მიღება ხდება სემესტრის მანძილზე მიღებული შუალედური შეფასებებისა და

დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე“. თუმცა უშუალოდ შეფასების პროცედურა ხორციელდება სემესტრში მხოლოდ ორჯერ: პირველად კომპლექსური, 60-ქულიანი „რეიტინგული“ (შუალედური) გამოცდის, და მეორედ 40-ქულიანი დასკვნითი გამოცდის ფორმით. ანუ, „შუალედური შეფასებები“ თავმოყრილია ერთჯერად ე. წ. „რეიტინგულ“ / შუალედურ გამოცდაში, რომელიც საგამოცდო ბილეთების სისტემით და ზეპირი ფორმით ტარდება. თითოეული ბილეთი შედგება 6 საკითხისგან, ყოველი საკითხისთვის გათვალისწინებულია მაქსიმალური 10 ქულა. დასკვნითი გამოცდა წერილობითი ფორმით ტარდება და მოიცავს 4 საკითხს, რომელთაგანაც თითოეულისთვის გათვალისწინებულია ასევე 10 ქულა. აღნიშნულთან დაკავშირებულ კითხვაზე კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები ამ ეტაპზე არ ხორციელდება და შეფასების სისტემის დახვეწა მოხდება პროგრამის ამოქმედების მომენტში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის ფარგლებში ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების კომპონენტი. შეფასებისთვის გამოყენებული ფორმებით და მეთოდებით ვერ მოხერხდება პროგრამაში შემავალი თეორიული სასწავლო კურსების შედეგების მიღწევა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშემსრულებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებაში რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან მოქმედი შეფასების სისტემით და თვლიან, რომ ეს უკანასკნელი შედეგების გაზომვის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სილაბუსები; - გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები: - 60 + 40“ ქულიანი შეფასების სისტემა შეიცვალოს მრავალჯერადი, მრავალკომპონენტიანი შეფასებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს განმავითარებელ/მიმდინარე შეფასებებზე - საგამოცდო ფორმატის გარდა გამოყენებულ იქნას შეფასების სხვა ფორმებიც; - შეფასების მეთოდების, კომპონენტების, ტექნიკების განსაზღვრა მოხდეს არა უნიფიცირებულად, არამედ ცალკეული სალექციო კურსების მიზნების და შედეგების შესაბამისად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კოლეჯის მიერ სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები განსაზღვრულია დოკუმენტში „სტუდენტის ცოდნის შემოწმება-შეფასების კრიტერიუმები“. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2017 წლის 28 აპრილის გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცებული „საშემსრულებლო სასწავლო კურსების შეფასების ახალი სისტემის კრიტერიუმებიც“ არ ვრცელდება მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე და განსხვავებულად არეგულირებს, მაგალითად შუალედური შეფასებების კრიტერიუმებს.
ანუ, წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები მხოლოდ ცალკეული სალექციო კურსების სილაბუსებშია გაწერილი. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებული არიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ და თვლიან, რომ ისინი გამჭვირვალე და გასაგებია. ხსენებულმა რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციას ღებულობენ როგორც სილაბუსებიდან, ისე უშუალოდ პედაგოგებისგან.
უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სილაბუსებში ცალკეული ველები ნაკლებად გამჭვირვალედაა ჩამოყალიბებული. მაგალითად: შუალედური შეფასების შემთხვევაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „რეიტინგული შეფასება ტარდება ზეპირი ფორმით, ბილეთებით. ბილეთში შედის 6 საკითხი, რომელთაგან თითოეული ფასდება 10 ქულით“, რასაც მოსდევს შეფასების კრიტერიუმების საკმაოდ დეტალური და გასაგები აღწერა. თუმცა იქვე მითითებულია „10-ქულიანი ზეპირი პრეზენტაცია“, რომლის შეფასების კრიტერიუმები ოდნავ გაუგებრადაა გაწერილი (სამდონიანი სისტემა, თითო დონისთვის: 0,5 – 0,5 – 0 ქულა). რაც მთავარია, პრეზენტაციის კომპონენტი ქულობრივად არ ჯდება მთლიან შეფასების სისტემაში, გამომდინარე იქიდან, რომ მისი ჩათვლით შეფასების მთლიანი ქულა გამოდის 110. ასევე გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული კომპონენტის ინტეგრირება ბილეთების სისტემით ჩატარებულ შუალედურ გამოცდაში. ამ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებისგან დამაჯერებელი პასუხის მიღება ვერ მოხერხდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სტუდენტის ცოდნის შემოწმება-შეფასების კრიტერიუმები“;
- სილაბუსები;

- გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: - მოხდეს შეფასების კრიტერიუმების შემუშავება უშუალოდ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის; - სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები განისაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტების შესაბამისად; - შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში მოვიდეს შეფასების სისტემასთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				X

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინდივიდუალური საკონსულტაციო სერვისი. თითოეული მათგანი ღებულობს სასურველ კონსულტაციას და დახმარებას. შესაბამისი დოკუმენტაცია გამოკრულია კოლეჯის კედლებზე საკმაოდ თვალსაჩინო ადგილზე და ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე. გარდა ამისა, კოლეჯის თანამშრომლებმა ისევე, როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათთან ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობა მიმდინარეობს და აღნიშნული სერვისი მათ სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; - გასაუბრება კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; - კოლეჯის ვებ-გვერდი; - ფაქტობრივი მდგომარეობა ადგილზე.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის ვალდებულებას, განახორციელოს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა დარეგულირებულია დოკუმენტით „სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“. გარდა ამისა, კოლეჯის ადმინისტრაციამ წარმოადგინა აკადემიურ პერსონალისთვის განკუთვნილი, შევსებული „ინდივიდუალური დატვირთვის გეგმები“ სადაც ასევე გაწერილი იყო სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები; - აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კოლეჯის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევით პროექტების განხორციელების საჭიროება ნაკლებადაა გამოკვეთილი, თუმცა კოლეჯი გეგმავს და ახორციელებს საშემსრულებლო პროექტებს.მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშიც ვკითხულობთ, შემდეგს „ბაკალავრიატი არ ითვალისწინებს კვლევითი პროექტების განხორციელებას“. ამის სანაცვლოდ, მაღალი ჩართულობაა სახელოვნებო და შემოქმედებით აქტივობებში, რომლებიც უდავოდ ემსახურება სტუდენტთა პრაქტიკული

უნარ-ჩვევების განვითარებას. კოლეჯი ასევე მხარს უჭერს სტუდენტთა მხრიდან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის აქტივობებში კოლეჯის სტუდენტების გარდა მონაწილეობენ კურსდამთავრებულები და სკოლის მოსწავლეებიც, რომლებიც კოლეჯის მომავალ სტუდენტებად მოიაზრებიან (ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება დაემთხვა ვიზიტის თარიღს: ზ. ანჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობდნენ კოლეჯის სტუდენტები, პერსონალი, ასევე კურსდამთავრებულები და სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას კოლეჯში გეგმავენ). ამავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში აუცილებელი გახდება ზემოთ ხსენებული აქტივობების აღნიშნული პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კვლევითი პროექტების კომპონენტებით შევსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში; - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან; - გასაუბრება კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; - გასაუბრება დამსაქმებლებთან; - ფაქტობრივი მდგომარეობა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის წესდებაში „უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის“ საკითხი ფიგურირებს, ისევე როგორც ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია „უმაღლესი კვალიფიკაციის

მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა“, ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, როგორც სწავლების, ისე სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით უაღრესად დაბალია. იმ შემთხვევებშიც, თუკი კოლეჯის პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა ან სიმპოზიუმებში, ეს არ წარმოადგენს ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებებს. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების პროცესში დაფიქსირდა, რომ კოლეჯს დროდადრო სტუმრობენ მუსიკოსები ევროპის ქვეყნებიდან, თუმცა ეს პროცესი პერიოდულ და არასისტემატიურ ხასიათს ატარებს. კოლეჯი არ თანამშრომლობს დასავლურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; კოლეჯის სტუდენტები არ მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. ანალოგიური სიტუაციაა კოლეჯის პერსონალის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ფინანსურ სირთულეებს გაუსვეს ხაზი და აღნიშნეს, რომ კოლეჯს არ აქვს ფინანსური საშუალება, უცხოელი სპეციალისტების მოსაწვევად. ამ პრობლემაზე მიუთითეს ასევე კოლეჯის კურსდამთავრებულებმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - კოლეჯის წესდება; - ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; - ფაქტობრივი მდგომარეობა; - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან; - გასაუბრება კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: - მოძიებულ იქნას ინფორმაცია შესაბამისი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფონდების შესახებ, რომელთა ხელშეწყობითაც ადგილობრივ უსდ-ებს საშუალება ეძლევათ, ყოველგვარი ფინანსური დანახარჯების გარეშე ითანამშრომლონ დასავლეთის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; - განხორციელდეს ანალოგიური სამუშაო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად; - დამყარდეს უშუალო კონტაქტები კოლეჯის მსგავსი პროფილის მქონე ევროპულ სასწავლებლებთან და მოხდეს თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებების იდენტიფიკაცია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - შემუშავდეს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სხვა პროცესების ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების სტრატეგია, მოხდეს ამ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების იდენტიფიცირება და განისაზღვროს კონკრეტული სამოქმედო გეგმა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				X

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა - სასწავლო აუდიტორიების, საკონფერენციო დარბაზის, ბიბლიოთეკის, სამკითხველო დარბაზის და ა. შ. ჩათვლით, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. განსაახლებელია მატერიალური-ტექნიკური ბაზაც. მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკა - ამას სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც უსვამენ ხაზს. სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობა მხოლოდ შეზღუდულად იძლევა ინტერაქტიული მეცადინეობების ჩატარების საშუალებას. გარდა ამისა, არ არსებობს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა, რომელიც როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მთელი რიგი პროცესების უფრო მარტივად წარმართვის და კონტროლის საშუალებას მისცემდა. ამის მიუხედავად, არსებული სასწავლო და დამხმარე საშუალებები, პირველ რიგში, პროგრამაში შემავალი დარგობრივი (სამუსიკო) კომპონენტების და, ასევე, ცალკეული

თეორიული კურსების თვალსაზრისით ნაწილობრივ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ფაქტობრივი მდგომარეობა; - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: - უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - დაინერგოს (თუნდაც საბაზისო შემადგენლის დონეზე) რომელიმე აპრობირებული ელექტრონული სასწავლო სისტემა (მაგალითად "Moodle") ამ ტიპის რესურსის საბაზისო ვერსიების გამოყენება, როგორც წესი, ფინანსურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების განხორციელებაში ჩართული პირების კუთხით გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- კოლეჯის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებს შორის იყო, მათ შორის, აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. თუმცა, აღნიშნულ ხელშეკრულებებს მიმდინარე წლის იანვარში ჰქონდათ გასული ვადა. საათობრივი ანაზღაურებით მოწვეულ სპეციალისტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს კი ვადა 2018 წლის აგვისტოში ეწურებათ. გარდა ამისა, გადმოგზავნილი იყო კოლეჯის 2018 წლის სამოქმედო გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც აკადემიურ თანამდებობზე კონკურსის გამოცხადება დეკემბრისთვისაა დაგეგმილი. ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ლაპარაკი იყო არა 2018, არამედ 2017 წლის დეკემბერზე და დასვეს კითხვა, ჩატარდა თუ არა ხსენებული კონკურსი და მოითხოვეს აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებების წარმოდგენა. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, კონკურსის გამოცხადება გარკვეულმა ფაქტორებმა შეაფერხა, რის გამოც მოხდა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადის გაგრძელება - ახალი შეთანხმების თანახმად, ისინი შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე მოვალეობის შემსრულებლებად დაინიშნენ. ანუ, კოლეჯს, დღევანდელი მდგომარეობით არ ჰყავს აკადემიური პერსონალი.
- თუმცა, მოწვეული პერსონალის და სილაბუსების ავტორების და განმახორციელებლად მითითებული პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით და კოლეჯში შემდგარი გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პირები დიდწილად ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი მდგომარეობა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- ჩატარდეს კონკურსი კოლეჯში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მოწვეულ სპეციალისტებთან / საათობრივი ანაზღაურებით მოწვეულ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები პროგრამის განხორციელების დაწყება-დასრულების ვადების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებების დროს გამოკვეთილი სუსტი მხარეებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივაა ხელშეწყობილი შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ. გასაუბრებების პროცესში, გარკვეულ კითხვებზე ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების და განხორციელებული საქმიანობის დეტალებთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა კონკრეტული და დამაჯერებელი პასუხების მიღება. თუმცა როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალის შემთხვევაში გამოიკვეთა საკმაოდ მაღალი ენთუზიაზმი და მოტივაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - წარმოდგენილი დოკუმენტაცია; - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სასწავლო პროცესის.
რეკომენდაციები: - უზრუნველყოფილ იქნას განათლების სისტემაში მოქმედი აქტუალური სტანდარტების, მიდგომების, მოთხოვნების უფრო სიღრმისეული დეტალური გაცნობა; ასევე, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა უსდ-ებთან, მათ შორის ისეთებთან, რომელთა პროფილიც განსხვავდება კოლეჯის პროფილისგან. - ამაღლდეს კოორდინაციის დონე კოლეჯის ადმინისტრაციის ყველა რგოლს შორის, მოხდეს ფუნქციების ცალსახა და გამჭვირვალე გამიჯვნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსებში მითითბული სასწავლო მასალა ნაწილობრივ დაფუძნებულია მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა - პირველ რიგში დარგობრივი ბლოკში, მითითებულია საკმაოდ ძველი სახელმძღვანელოები. აღნიშნულთან დაკავშირებით უშუალოდ სასწავლო კურსების განმახორციელებლებმა ხაზი გაუსვეს თანამედროვე ლიტერატურის არარსებობის პრობლემას. გარდა ამისა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური მიმართულება: - სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის დასადგენად, კოლეჯის ბიბლიოთეკას ვთხოვეთ სილაბუსებიდან შერჩეული 6 სახელმძღვანელოს წარმოდგენა, რომელთაგან 5 საბიბლიოთეკო საცავში არ აღმოჩნდა: 1. (მ. ჯაფარიძე (რედ.), განათლების ფსიქოლოგია, თბ. 2005 2. ო. დევიძე, განვითარების ფსიქოლოგიის საკითხები, ქუთ., 2014 3. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ივ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012 წ. 4. მაჭარაშვილი ნ. ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვა და ორგანიზაცია ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით. თბილისი, 2004 5. ი. ქურდაძე, მ. ნათენაძე. პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაცია და განხორციელების გზები (მეთოდური სახელმძღვანელო). თბილისი, 2010 წ.

- გარდა ამისა, ბიბლიოთეკას არ გააჩნია წვდომა არცერთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან;
- ფაქტობრივი მდგომარეობა.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის ბიბლიოთეკაში იმ სასწავლო ლიტერატურის არსებობა, რომელიც სილაბუსებში სავალდებულოდაა განსაზღვრული;
- უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსთან წვდომა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კოლეჯი წარმოადგენს საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს სსიპ-ს და მასწავლებლის პროგრამის განხორციელებაც იგეგმება სამინისტროს მიერ კოლეჯისთვის დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში. თუმცა, კოლეჯის ხელთარსებული ფინანსები, რიგ შემთხვევებში, არ არის საკმარისი ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების თუ ზოგადი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლებიც სასწავლო პროცესს უშუალოდ უკავშირდება. გასაუბრებების პროცესში, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის, ისე სტუდენტების და კურსდამთავრებულების მხრიდან მუდმივად ესმეოდა ხაზი ფინანსური სახსრების ნაკლებობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი ფინანსური ფონდების მოზიდვა, მათ შორის ალტერნატიული წყაროების მოძიება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს „ერაზმუს პლუსის“ ფარგლებში შემოთავაზებული შესაძლებლობების გაცნობა და ამ კონტექსტში არსებული რესურსის გამოყენების ყველა მიმართულების ანალიზი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				X

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ყოველსემესტრულად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვებს, ასევე ჩართულია აკადემიური მოსწრების სტატისტიკურ ანალიზში და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში. სამსახურის მიერ შემუშავებულია სასწავლო პროცესის ისევე როგორც კოლეჯში ჩარიცხვის და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა სტუდენტთა ისევე, როგორც დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შევსებული ანკეტები. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ასევე ხორციელდება ლექციებზე დასწრება, თუმცა რაიმე სახის ფორმალური შეფასების გარეშე. როგორც კოლეჯის თანამშრომლებმა, ისე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებული არიან პროგრამული სიახლეების შესახებ და ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - წარმოდგენილი დოკუმენტაცია; - გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან; - გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; - ფაქტობრივი მდგომარეობა - კითხვარები, ანკეტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა და გარე შეფასება ხორციელდება და მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში იგეგმება ყოველსემესტრული შიდა მონიტორინგის და ყოველწლიური გარე აუდიტის განხორციელება. ეს უკანასკნელი ნაკლებად უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესს და ძირითადად მატერიალურ-ტექნიკური მიმართულების შეფასებას ისახავს მიზნად, თუმცა ზოგადი განვითარების თვალსაზრისით, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ მიზანშეწონილ ინსტრუმენტადაა მიჩნეული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში; - გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. - ფაქტობრივი მდგომარეობა - კითხვარები, ანკეტები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				X
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				X
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				X
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			
საბოლოო შეფასება				X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ერეკლე ჩიგოგიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლელა იოსავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ანჟელა აბულაძე